

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. საბაკალავრო პროგრამის დასახელება – ინკლუზიური განათლება

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - განათლების ბაკალავრი

3. პროგრამის მოცულობა - 240 (ECTS) კრედიტი

4. სწავლების ენა – ქართული

5. პროგრამის ხელმძღვანელები

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი დავით ზურაბაშვილი
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი რუსუდან ფიფია

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის ინკლუზიური განათლების საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ისტორიაში ან/და ლიტერატურაში. სპეციალობის არჩევა ხდება მეორე კურსიდან;

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სსუ ინკლუზიური განათლების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

7. პროგრამის მიზანი

ინკლუზიური განათლების საბაკალავრო პროგრამის ძირითადი მიზანია მომზადდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები ინკლუზიური განათლების მიმართულებით. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, საბაკალავრო პროგრამა მოამზადებს სპეციალისტებს, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნებს დაუქვემდებარებს სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების აღზრდის, განვითარების, განათლებისა და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის საკითხებს.

ინკლუზიური განათლების სპეციალობის კურსდამთავრებულთა მომზადება წარმოადგენს ძირითად ინდიკატორს, თუ რა მოცულობით შეუძლია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პიროვნებას მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს მისცეს ცოდნა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ადგილობრივი მოთხოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

სტუდენტებს გამოუმუშავებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საზოგადოებაში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვთა უფლებების დაცვის და მათი განათლებისათვის საჭირო გარემოს ჩამოყალიბების უნარს, ისეთ უნარ-ჩვევებს, რითაც სპეციალური სკოლის მომავალი მასწავლებლები შეძლებენ თავიანთი ცოდნისა და უნარების გამოყენებას სკოლის ფსიქოლოგიაში, შეძლებენ ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას, ანალიზის, არგუმენტაციისა და პრობლემის შეფასებას.

8. სწავლის შედეგები

- **ცოდნა გაცნობიერება** - ინკლუზიური განათლების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა იცის ინკლუზიური განათლების ისტორიული და ფილოსოფიური საფუძვლები, ინკლუზიური განათლების რაობა, იცის მსგავსება და განსხვავება ინკლუზიურ განათლებასა და სპეციალურ განათლებას შორის. აქვს ცოდნა ინკლუზიური განათლების პრინციპების, თეორიებისა და კონცეფციების შესახებ. იცნობს განათლების თეორიებსა და მეთოდოლოგიის საფუძვლებს, სწავლისა და სწავლების სტრატეგიებსა და თეორიებს, შეფასების სხვადასხვა მეთოდებს, ფორმებსა და პრინციპებს; აქვს ცოდნა საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურისა და მიზნების, მოსწავლის ასაკობრივი განვითარების ძირითად კანონზომიერებების, ინკლუზიური განათლების მულტიკულტურული პრინციპებისა და მიდგომების შესახებ. აქვს ცოდნა დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდების, დარგისთვის აუცილებელი ტერმინოლოგიისა და ცნებითი აპარატის შესახებ, იცის ქვეყანაში დამკვიდრებული ტერმინოლოგია და ზრუნავს სასწავლო პროცესში არაეთიკური ტერმინების (მაგ. გონებაშეზღუდული; დეფექტური და ა. შ.) აღმოფხვრასა და ადეკვატური პროფესიული ტერმინების დამკვიდრებაზე. აღნიშნულ ცოდნას უზრუნველყოფს ისეთი სასწავლო კურსები, როგორცაა თანამედროვე საგანმანათლებლო თეორიები და ტექნოლოგიები, სწავლება-სწავლის ფსიქოლოგიური საფუძვლები, ბავშვის ანატომია, ფიზიოლოგია, გენეტიკის

საფუძვლები, ფსიქო-პედაგოგიური დიაგნოსტიკა, მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია, სპეციალური განათლების საფუძვლები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლება და ა. შ.

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - აქვს ინკლუზიური განათლების სფეროსათვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება უნარი ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად შეუძლია კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელება და მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია და პრეზენტაცია. აქვს ცოდნა კლასის მართვის, კლასში ინკლუზიური მოსწავლისთვის პრობლემების გადაჭრისა და იდენტიფიცირების, ინკლუზიური მოსწავლისთვის სწავლის პროცესის სწორად დაგეგმვისა და გაკვეთილის პროცესისათვის სასწავლო დროის ეფექტურად ორგანიზების უნარი; ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ეხმარება სპეციალურ მასწავლებელს ან საგნის მასწავლებელს სსსმ მოსწავლისთვის ადეკვატური სასწავლო გარემოს შექმნაში; მას შეუძლია ხელი შეუწყოს სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდას. შეუძლია დაეხმაროს საგნის მასწავლებლებს როგორც სსსმ მოსწავლის, ასევე ზოგადად, კლასის მართვაში და ა. შ. იცის სსს ნიშნების იდენტიფიცირება, იცის სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა და გამოყენება.
- **დასკვნის უნარი** - აქვს ინკლუზიური განათლების სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვებისა და განმარტების, მათი კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და რეზიუმირების უნარი, რაოდენობრივი მსჯელობის უნარი, შეუძლია ახალი დარგობრივი მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი. ინკლუზიურ განათლებაში სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით დასაბუთებული, არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.
- **კომუნიკაციის უნარი** - ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეუძლია გამართული აკადემიური კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან. შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება ქართულ და უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენაზე. კურსდამთავრებულს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შეუძლია დარგში შემოსული ახალი ლიტერატურის მოძიება, წაკითხვა, გააზრება და პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვა. კურსდამთავრებულს დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქვს სსსმ მოსწავლესთან და ინკლუზიურ ბავშვებთან კომუნიკაციის, მათთან გუნდური მუშაობის უნარი. იცნობს და სასწავლო სააღმზრდელო საქმიანობაში იყენებს კომუნიკაციის დამხმარე ალტერნატიულ ტექნოლოგიებს, მოსწავლის კომუნიკაციასთან დაკავშირებული სირთულეების დასაძლევად.
- **სწავლის უნარი** - კურსდამთავრებულს აქვს სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების, სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი: შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საგანმანათლებლო სივრცეში შემოსული სიახლეების გაცნობისა და შესწავლის უნარი; აქვს უნარი განსაზღვროს სწავლის გაგრძელების საკუთარი შესაძლებლობები აკადემიური განათლების შემდგომ საფეხურზე.
- **ღირებულებები** - კურსდამთავრებულს აქვს სამოქალაქო საზოგადოებისათვის აუცილებელი თანამედროვე ლიბერალური, დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობებისადმი პატივისცემა; კურსდამთავრებულს აქვს სსსმ მოსწავლეებსა და ბავშვებთან ურთიერთობის, მათადმი პატივისცემის უნარი; მონაწილეობს ამ ღირებულებების ფორმირების პროცესში.

9. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საფაკულტეტო სავალდებულო და არჩევითი კურსები - 60 კრედიტი														
ა)	ინგლისური ენა - დამწყებთათვის <i>(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხო ენა შეუძლით აირჩიონ ინგლისური ენა - დამწყებთათვის)</i>													
1.	ინგლისური ენა I (Elementary A1)	ENGL B 001	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
2.	ინგლისური ენა II (Pre-Intermediate A2)	ENGL B 002	6	65	85		6							ENGL B 001
3.	ინგლისური ენა III (Intermediate B 1)	ENGL B 003	6	65	85			6						ENGL B 002
ბ)	უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - არჩევით <i>(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)</i>													
1.	უცხო ენა I - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 1.2	ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
2.	უცხო ენა II - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2. 1	ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	6	65	85		6							ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011
3.	უცხო ენა III - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2.2	ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013	6	65	85			6						ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012
4.	საოფისე პროგრამები	COMP B125	3	35	40		3							წინაპირობის გარეშე
5.	აკადემიური წერა	EDUC B101	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე

6.	ზოგადი ფსიქოლოგია	PSYC B135	6	65	85		6							წინაპირობის გარეშე
7.	განათლების ისტორია	EDUC B108	6	65	85		6							EDUC B107
8.	ქართული ენა I	EDUC B119	3	35	40	3								წინაპირობის გარეშე
9.	ქართული ენა II	EDUC B120	6	65	85		6							EDUC B119
10.	საქართველოს სახელმწიფოს ისტორია	EDUC B102	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
არჩევითი საფაკულტეტო კურსები - 6 კრედიტი							3	3						
1.	შესავალი თანამედროვე აზროვნებაში	EDUC B103	3	35	40									წინაპირობის გარეშე
2.	ფიზიკური აღზრდა	EDUC B104	3	35	40									წინაპირობის გარეშე
3.	ქართული კულტურის ისტორია	EDUC B105	3	35	40									წინაპირობის გარეშე
4.	სახვითი ხელოვნება	EDUC B106	3	35	40									წინაპირობის გარეშე
ძირითადი სპეციალობის სავადებულო კურსები - 141 კრედიტი														
1.	დარგობრივი უცხო ენა - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) (განათლება)	ENGL B 015 GERM B 015 FREN B 015 RUSS B 015	3	35	40				3					ENGL B 003 /ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013
2.	პედაგოგიკის საფუძვლები	EDUC B107	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
3.	შესავალი სპეციალურ პედაგოგიკაში	EDUC B157	3	35	40			3						EDUC B108 EDUC B107
4.	ბავშვის ანატომია	EDUC B158	6	65	85			6						წინაპირობის გარეშე
5.	განვითარებისა და სწავლების თეორიები	EDUC B113	6	65	85			6						PSYC B135
6.	თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები	EDUC B153	6	65	85			6						EDUC B107 PSYC B135
7.	ინკლუზიური განათლება	EDUC B109	6	65	85				6					EDUC B107 PSYC B135 EDUC B157
8.	მეტყველების განვითარების მეთოდოლოგია	EDUC B159	6	65	85				6					PSYC B135 EDUC B157
9.	ფსიქოლოგიური სამსახური სკოლაში	EDUC B160	6	65	85				6					EDUC B107 PSYC B135
10.	ბავშვის ფიზიოლოგია	EDUC B161	6	65	85				6					EDUC B158
11.	მეტყველების თერაპია	EDUC B161	6	65	85				6					PSYC B135 EDUC B159
12.	ფიზიკური აღზრდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის	EDUC B162	6	65	85				6					EDUC B107 EDUC B161
13.	განათლების ფსიქოლოგია ბაკალავრებისათვის	EDUC B131	6	65	85				6					PSYC B135 EDUC B113

